პროლეტარელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცრმეფლა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 27 მაისი, 1947 წ. № 105 (7889). ფასი 20 კაპ.

პენუმი მთავარ ამოცანად სახავს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი აღგილობრივი ორგანოების მხრივ, რათა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების განუხრელი შესრულების საფუძველზე მიგაღწიოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალ სწრაფ აღმავლობას.

(საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან)

„ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ამხ. ჩხუბიანიშვილის მოხსენების გამო

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობამ წარმატებით სძლია ომიანობის დროის სიძნელეენი. ეს იყო სოფლად საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების შედეგი, რაც მიღწეულია იმის მეოხებით, რომ მშვიდობიანობის დროს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია ბოლშევიკური პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში დასაბუთ ამოცანათა შესასრულებლად.

ომის წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადმა დარგებმა არა მარტო შეინარჩუნეს, არამედ გადაჭარბეს კიდეკაც წარმოების ომამდელ დონეს. 1940 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეულისა და პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობი. თუ 1940 წელს მარცვლეულ და პარკოსან კულტურებს საქართველოში ეკავა 748,4 ათასი ჰექტარი, 1942 წელს მათი ნათესების შედგენენ 813,8 ათასი ჰექტარს, 1943 წელს—869,0 ათასი ჰექტარს და 1945 წელს — 828,5 ათასი ჰექტარს. მიღწეულ იქნა აგრეთვე მოსავლიანობის ერთგვარი გადიდება. ყოველივე ამის შედეგად მარცვლეულის საერთო მოსავალი გადიდდა და გადაჭარბა ომამდელ დონეს: 1942 წელს — 186 ათასი ტონით, 1943 წელს — 207 ათასი ტონით და 1945 წელს — 90 ათასი ტონით.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, სამამული ომის წლებში უზარმაზარ ეროვნულ ეკონომიკურ ამოცანა და ვალებს ფართობთა შენარჩუნება. მრავალწლიანი ნარგავებიდან მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციებმა განიცადეს მნიშვნელოვანი ზარალი 1941-1942 წლის სუსხიანი ზამთრის შედეგად.

მოპოვებულია სერიოზული წარმატებანი მეცხოველობის განვითარების დარგში.

ომის წლებში გრძელდებოდა კოლმეურნეობათა ეკონომიკის განუხრელი ზრდა, მატულობდა მათი ნატურალური და ფულადი შემოსავალი. ამან შესაძლებლობა მისცა კოლმეურნეობებს არა მარტო შეეინარჩუნებინათ ომამდე მიღწეული ზომის ანაზღაურების საშუალო ოდენობა, არამედ რამდენადმე გადაეკრაბებინათ კიდეკიდე მისთვის.

საქართველოს კოლმეურნეობები ყოველწლიურად კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების დარგში.

მაგრამ, ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ ომმა, რომელიც საბჭოთა კავშირს თავს მოახვიეს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა, ძმიდე კვალი დაჩინა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ომის პირობებში შეწყდა მრავალწლიანი ნარგავების — ჩაის, ციტრუსების, ვენახების გაშენება. მიწიერური სასუქის სრული უკონლობისა და ჩაის პლანტაციების მოვლის გუთარესების გამო პირველი და მეორე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა 1945 წელს შემცირდა 20 ათას ტონამდე 1940 წლის 35 ათას ტონასთან შედარებით.

ომის წლებში ფართოდ გავრცელდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევა: კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაივება, საკოლმეურნეო ქონების დატაცება და მითვისება, კოლმეურნეობათა მომარხი აღმინისტრირების შემთხვევები და სხვ.

ომის გამო, რომ სსრ კავშირის მრეწველობა გადაყვანილი იყო სამხედრო საჭიროებათა მომსახურებაზე, მთლიანად შესწყდა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვა მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სატრაქტორო პარკის ნაწილი ომიდას ადგა, ამან გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შეჭანაზეციის დონის შემცირება.

სამამული ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა და სპეციალისტებმა, პარტიული ორგანიზაციების მეთაურობით, მტკიცედ მოაკიდეს ხელი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში ომის შედეგების ლიკვიდაციას.

ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს საქართველოს სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. მარცვლეულის საერთო მოსავალმა გადააჭარბა 1945 წლის მოსავალს. 1946 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 31,5 ათასი ტონით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს.

დიდი მუშაობაა გაწეული ჩაისა და ციტრუსოვანთა ნარგავების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რის შედეგადაც გადიდდა ამ კულტურების მოსავლიანობა და პროდუქციის საერთო მოსავალი, შარშან მიღებულ იქნა ციტრუსოვანი ნაყოფის ყველაზე დიდი მოსავალი: დაბზდდა 580 მილიონზე მეტი ცალი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი, ნაცვლად სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 500 მილიონი ცალისა.

დიდი გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, ამასთან გადაჭარბებულია ხარისხობრივი მაჩვენებლები: ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდათ 23.674 ტონა ჩაის ძირითადი მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20.000 ტონისა.

სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 119 პროცენტით, ყურძნისა—103,3 პროცენტით. დამამზადებელ ორგანიზაციებს ჩაბარდათ 11.300 ტონა თამბაქოს ნედლეული, ანუ გეგმის 107,7 პროცენტი. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების თესლის ჩაბარების გეგმა: სოიისა—61,6 პროცენტით, მზესუმზრისისა — 40,8 პროცენტით. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. შესრულებულია აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

განსაკუთრებულ მუშაობა სუბტროპიკული და სხვა მრავალწლიანი კულტურების ფართობების გასაღიდებლად. 1946 წელს და 1947 წლის გაზაფხულზე გაშენებულია ახალი პლანტაციები ლიმონისა 694,3 ჰექტარზე, ფორთოხლისა—337,9 და ჩაისა—324 ჰექტარზე. ამავე პერიოდში გაშენებულია 1.130 ჰექტარი ვენახი და 2.050 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

დიდი მუშაობაა გაწეული „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის ნესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების განსახორციელებლად. კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 40 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა, აგრეთვე დიდი რაოდენობის პირუტყვი, პროდუქტები და ფული, რაც მთელან უკანონოდ წაიღეს სხვადასხვა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და მიითვისეს ცალკე პირებმა. მნიშვნელოვნად შემცირდა ხარჯები ამარტის შენახვისათვის და ამ სამუშაოთა შესასრულებლად, რაც საკოლმეურნეო წარმოებასთან არაა დაკავშირებული.

ამასთან ერთად, საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში კვლავ არის ყურადსაღები ნაკლოვანებანი.

მიუხედავად მარცვლეულის მთელი პროდუქციის საერთო ზრდისა და უკანასკნელ წლებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ერთგვარი გადიდებისა, გეგმით გათვალისწინებული ერთი ჰექტარის მოსავლიანობა ჯერ კიდევ არ სრულდება. მრავალი რაიონი და კოლმეურნეობა, კოლმეურნეობებში შრომის ცუდი ორგანიზაციისა და ძირითად აგროტექნიკურ ღონისძიებათა უგულებელყოფის შედეგად, წლითიწლობით იღებს ხორბლის, სიმინდისა და ქერის დაბალ მოსავალს. მარცვლეულის განსაკუთრებით დაბალ მოსავალს იღებენ გეგეჭკორის, ცხაკაიას, აბაშის, ჩხარის, საჩხერის, ტყიბულის, მაიაოფსკის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბურჯალის, თელავისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობები.

კარტოფილის ძირითადი მოგსეკენი რაიონები—ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ლენინის, წალკის, თეთრი წყაროს რაიონები — არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ამ დიდმნიშვნელოვანი სასურსათო კულტურის მოყვანისათვის. ამ რაიონების კოლეტიურეობებმა უკანასკნელ წლებში მკვეთრად შეამცირეს კარტოფილის მოსავლიანობა.

მიუხედავად ბოსტნეულ-ბაღჩეულის კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა მთელიანად რესპუბლიკაში, მთელი რიგი რაიონები, რომლებიც მდებარეობენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ჯიათურის, ტყიბულის, ტყვარჩელის და სხვა სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების გარშემო, ვერ იყენებენ არსებულ დიდ შესაძლებლობებს ბენოსტნეულის შემდგომი განვითარებისათვის. მეხეთის, მარნეულის, გარდაბნის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის და ყვარლის რაიონებმა, რომლებიც ბაღჩეული კულტურების ძირითადი მეწარმოებლები არიან, უკანასკნელ წლებში შეასრულეს ყურადღება ამ კულტურებისადმი, გაეკარსეს ნათესების მოგლა და ბევრად შეამეტინეს მოსავლიანობა.

დასავლეთ საქართველოს რაიონებმა უკანასკნელ წლებში შეამცირეს ლობიოს თესვა და მისი მოსავლიანობა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ კოლმეურნეობას სრულიად არ მოუყვანს ეს კულტურა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლა და დამუშავება ბერეკაანის, თელავის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ჩხარის და საჩხერის რაიონებში. ამ რაიონების კოლმეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ვენახებსა და ხეხილის ბაღებს ამუშავებს აგროტექნიკის დიდი დარღვევით. ვენახებისა და ბაღების მრავალი ნაკვეთი უყურადღებოდ არის მიტოვებული და დასარეცილიანებულია, ნარგავები ამ ნაკვეთებზე მტაცდ დასუსტებულია და ნაყოფს არ ისხამს. არ იღებენ სათანადო ზომებს ხეხილის ნარგავების შესაწამლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ, მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის საერთო სულადობის გეგმის შესრულებისა, მეცხოველეობის განვითარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები. 1946 წელს მთლიანად არ შესრულებულა ძროხისა და ფფურკამეჩის, მუშა ხარისა და კამეჩის სულადობის მოშენების გეგმა. კვლავ ადგილი აქვს პირუტყვის დიდ სიკვდილიანობას. ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში ძროხებისა და ფფურკამეჩების მნიშვნელოვანი ნაწილი ბერწია, რის გამო ზოგიერთი კოლმეურნეობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის გეგმის ასრულებას კოლმეურნე კომლებისა და სხვა მეურნეობებისგან მოზრდილთა ყიდვით.

მთელი რიგი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყურადღებას არ უთმობენ მოზვერების გამოზრდას და მუშა პირუტყვის სულადობის ზრდას. საკოლმეურნეო პირუტყვის მოვლა-პატრონობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, რის გამო სისტემატურად არ სრულდება ფვეფლოდ, მატყლისა და კვერცხის დავალებანი.

შემჩნეულია ცხენოსნობის ზრდა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დანასაკუთრებით შეუწყნარებლად მიაჩნია ისეთი მდგომარეობა, როცა კოლმეურნე კომლების მიერ მეფფელი პირუტყვის შეძენის საქმისადმი რაიონული პარტიული ორგანიზაციების უყურადღებო დამოკიდებულების შედეგად ბურჯაანის, სიღნაღის, ბარნეულის, ბოლნისის, ქარელის, კასპისა და თეთრი წყაროს რაიონების კოლმეურნეთა უმრავლესობას პირად სარგებლობაში არა ჰყავს ძროხა.

მანქანა-ტრაქტორთა საადგურების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. 1946 წელს ერთი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება რბილ ხეხნაზე გადაყვანილი შედგენდა 242 ჰექტარს, ნაცვლად 1940 წლის 296,6 ჰექტარისა. განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები აქვს შიდნისის მტს-ს, სადაც ერთი ტრაქტორის გამომუშავება იყო მხოლოდ 161 ჰექტარი, ახალციხის მტს-ს—150 ჰექტარი, თიანეთის მტს-ს—120 ჰექტარი, ლენინის მტს-ს—121 ჰექტარი, სამტრედიის მტს-ს—117 ჰექტარი. ძირითადი სახის სამუშაოთა გეგმები მტს-ებში არ სრულდება. ბევრი მტს-ი გულგრილად ეკიდება იმ ხელშეკრულებათა შესრულებას, რომლებიც განსაზღვრავენ მტს-ისა და კოლმეურნეობების ურთიერთვალდებულებებს.

მექანიზატორთა კადრების (მექანიკოსების, ტრაქტორისტების, კომბაინერების), აგრეთვე მასპარიკი კვალიფიკაციის საკოლმეურნეო კადრების მომზადება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

მთელ რიგ მექანიზეებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრები არადანშნეულებისამებრ იყენებენ. იმ დროს, როცა მთელი რიგი რაიონების აგრონომიული და ზოოვეტერინარული უბნები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები უზრუნველყოფილი არ არიან სპეციალისტებით, მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშაობს ისეთ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებსაც დამოკიდებულება არა აქვთ სოფლის მეურნეობასთან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ბაზგასმით აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებები, რაც აღნიშნულია ეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ დადგენილებაში, მთლიანად და სავსებით შეეხება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებსა და საბჭოთა ორგანოებსაც. პლენუმი მთავარ ამოცანად სახავს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი აღგილობრივი ორგანოების მხრივ, რათა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების განუხრელი შესრულების საფუძველზე მიგაღწიოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალ სწრაფ აღმავლობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

I. მარცვლეული ნარმოების გადიდების დარგში

დაეკალოს პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს:

1. ჭეიფაში ტექნიკური კულტურების მოსავლიანობისა და მათი ფართობების შემდგომ გადიდებასთან ერთად, ძირითად ამოცანად ჩაითვალოს მარცვლეული მეურნეობის აღმავლობის უზრუნველყოფა და ხორბლის, სიმინდის, აგრეთვე სხვა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება.

1950 წელს მიღწეულ იქნას რესპუბლიკაში მარცვლეული კულტურების ნათესის ერთ ჰექტარზე საშუალოდ სულ მცირე 12 ცენტნერი მარცვლეულის მოკება.

2. ლიკვიდირებულ იქნას აგროტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოების ვადების დარღვევა, უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის დამუშავებისა და ნათესების მოვლის მაღალი ხარისხი.

3. უზრუნველყოფილ იქნას სახეობანი ხეხნის დაწესებული გეგმის ფეტილებლად შესრულება არა უგვიანეს 10 მაისისა, ხოლო მზესუმზრისა—არა უგვიანეს 10 დეკემბრისა. 1947 წელს, როგორც გამონაკლისი, ანეულის ხეხნა დამთავრდეს არა უგვიანეს 10 ივნისისა; ზაფხულის გამავლობაში ჩატარდეს ანეულის დამუშავება 3-4-ჯერ მაინც, რათა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დათესვამდე ეგი ამყოფილ ფხვიერ და სარეველებისაგან გაწმენდილ მდგომარეობაში. საშემოდგომო თესვის რაიონებში ანეული გამოიყოს მხოლოდ და მხოლოდ საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ნათესებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები დაითესოს მზრალად ხნულში, დასავლეთ საქართველოს რაიონებში—ზამთრისა და საადრეო საგაზაფხულო ხნულში.

4. მოსავლიანობის გადიდებისა და მინდვრების დასაარეკილიანების ლიკვიდაციის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას ხეხნის ჩატარება 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე, ხოლო იმ ნაკვეთებში, სადაც ნაკლები სახნავი ფენაა,—მთელ მის სიღრმეზე, სახნავი ფენის თანდათანობით გადრმავებით.

ხეხნის დროს უზრუნველყოფილ იქნას წინასახნისებრივ გამოყენება და ფართოდ იქნას დანერგული ნაწერგალის ოიშვა დისკოიანი და სახნისიანი სათოფლით.

5. თესვამდე ამოსული სარეველების მოსასპობად და თესლის აღმოცენებისათვის უკეთესი პირობების შექმენელად უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის აუცილებელი თესვისწინა დამუშავება—კულტივაცია 5-6 სანტიმეტრის სიღრმეზე და ამასთან ერთად ფარცხვა.

6. უზრუნველყოფილ იქნას შემოდგომის ნათესების დაფარცხვა გაზაფხულზე ფართო მასშტაბით, ამასთან წინასწარ ჩატარდეს მათი დამატებითი კვება აღგილობრივი სასუქებით.

7. შემოდგომისა და გაზაფხულზე ჩატარდეს თავთავიანი კულტურების ხელით გამარგვლა ორჯერ მაინც, სიმინდის გათხნა 2-3-ჯერ და სარწყავ რაიონებში თავთავიანი კულტურების 2-3 სავეგეტაციო მორწყვა და სიმინდის სულ მცირე 3-4-ჯერ მორწყვა.

8. ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების მიზნით მიღწეულ იქნას აღგილობრივი სასუქების—ნაკელის, ნაკრის, ტკელის მხიზნეულოვანი რაოდენობით დაგრეგება და ნიადაგში შეტანა, ხოლო წულეკიძის, სამტრედიის, ვეგეჭკორის, აბაშისა და სხვა რაიონებში ფართოდ იქნას გამოყენებული სახნავი ნაკვეთების მოლამბა მდინარეების ლამით.

9. მარცვლეული კულტურების ნათესებში შესატანად აღგილობრივი სასუქების ნაკლებობის გამო საჭიროდ ჩაითვალოს მწვანე სასუქების ფართოდ გამოყენება (სიდერაცია).

დაეკალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას შეისწავლოს ცალკეულ რაიონებში მწვანე სასუქის გამოყენების საკითხი და უახლოეს 2-3 წელში განსაზღვროს ამ მეზნისათვის გამოსადგარ კულტურები და მათი მოყვანის აგროტექნიკა.

10. დამთავრდეს მთლიან ჯიშობრივ ნათესებზე გადასვლა 1949 წელს და უზრუნველყოფილ იქნას ფურო მოსავლიანი რაიონირებული ჯიშების რაც შეიძლება სწრაფი გამრავლება ნაკლებმოსავლიანი ჯიშების შეცვლელად.

სამეზნის მოსავლიანობის გადიდების მიზნით ფართოდ დაინერგოს კოლმეურნეობებში სიმინდის ჰიბრიდული თესლის დათესვა, რისთვისაც მეთესლეობის კოლმეურნეობებში მოეწყოს სიმინდის ჰიბრიდული თესლის მოყვანა.

11. უზრუნველყოფილ იქნას სათესლე ნაკვეთების მოსავლიანობის გადიდება, მოეწყოს მათი გულმოდგინე მოვლა, სათესლე ფონდების დროულად ალება, გაკეოწვა, გაწმენდა და დაცვა. თესლის მოთხოვნილება მთლიანად დაიფაროს კოლმეურნეობათა სათესლე ნაკვეთებიდან მიღებული მოსავლით.

12. დაწყებული 1947 წლიდან, მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებში სამეთესლეო მუშაობასთან ერთად მოეწყოს საცდელი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნიკის დარგში.

13. საქართველოს სასელექციო სადგურმა გააქციერის მუშაობა მარცვლეული თავთავიანი კულტურების,

(ბაბრაძელება მე-2 გვერდზე)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

საბჭოთა ხალხის ისტორიულმა გამარჯვებამ მტერზე ცხადაყო არა მარტო საბჭოთა სახელმწიფოს გაზრდილი ძლიერება, არამედ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის განსაკუთრებული ერგოგულებაც საბჭოთა სამშობლოსა და საბჭოთა მთავრობისადმი.

ამასთან ერთად საერთაშორისო ვითარება გერმანიისა და იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ განელილ პერიოდში გვიჩვენებს, რომ მშვიდობის საქმე შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს ძლიერი, მიუხედავად აგრესიული ელემენტების მხრივ ომის პროვოკაციების ცდებისა.

მხედველობაში იღებს რა ამ გარემოებას და მუშაობა და მოსამსახურეთა პროფესიული კავშირებისა და სხვა აეტორიტეტული ორგანიზაციების სურვილს, რომლებიც ფარით საზოგადოებრივი წრეების აზრს გამოხატავენ,— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ სიკვდილით დასჯის გამოყენება აუცილებელი აღარ არის მშვიდობიანი დროის პირობებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაუქმდეს მშვიდობიანი დროის სიკვდილით დასჯა, რაც დანაშაულთათვის დაწესებულია სსრ კავშირში მოქმედი კანონებით.

2. იმ დანაშაულთათვის, რომლებიც მოქმედი კანონების მიხედვით სიკვდილით ისჯება, მშვიდობიან დროს გამოაცხესდეს ოქმის შრომა-გამასწორებელ ბანაკებში პატიმრობა 25 წლის ვადით.

3. სიკვდილით დასჯის იმ განაჩენების მიხედვით, რომლებიც სისარულში არ არის მოყვანილი ამ ბრძანებულების გამოცემამდე, სიკვდილით დასჯა, ზემდგომი სასამართლოს დადგენილებით, შეიცვალოს ამ ბრძანებულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სასჯელით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოროკინი

მოსკოვი, კრემლი. 1947 წლის 26 მაისი.

მჭს-ების სამუშაოთა ნაკუთრსაზღვარის განაკვეთები

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაეწესა მანქანა-ტრაქტორთა საადგურების სამუშაოთა ნატურა-საზღაურის დიფერენციერებული განაკვეთები. ახალი განაკვეთები დაწესებულია მზრალად ხნულისთვის, ანეულის ხნულისთვის, საგაზაფხულო ხნულისთვის, საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვისათვის, მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზრის კომბაინებით აღებისათვის და სხვ. საზღაურის ოდენობა დაწესებულია მოსავლისა და დადგენათა შესრულების ვადების მიხედვით. კოლმეურნეობისა და მტს-ის ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გადაკვეთებისას შესაბამისად საბუნათა განაკვეთები უფრო დაბალია.

ნატურასაზღაურის ახალი განაკვეთები მოქმედებს მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებიდან. (საკადესი).

ურალის მოჯოციკლები

სვერდლოვსკი, 23 მაისი. (საკადესი). სამამული ომის წლებში ირბიტის ქვეყ შენობაში პირველი პროდუქციის გამოშვება დაიწყო მოტოციკლების ქარხანამ. ამავე დროს ქალაქის განაპირა უბანში შენდებოდა ახალი კორპუსები.

თანდათანობით მწყობრში ჩადგენენ ახალი ქარხნის სამპეიდოო, სამსმელი და საკომპრესორო საამქრობი, ამასწინანო საექსპლოატაციოდ გადაეცა მოტორების და სინქრონული ელექტროძრავების საამქროს დიდი კორპუსი. წელს დამთავრდება სინსტრუმენტო საამქროს ფაბრიკა. დაიწყო ძარების საამქროს შენებლობა. აშენდება თბოელექტროცენტრალი.

ხუთწლედის დამლეგისათვის ქარხანა ერთიანობად გადადიდებს მოტოციკლების გამოშვებას.

ათვისებულია ახალი მარკის მოტოციკლების სერიული წარმოება. მანქანა მოხდენილად არის გაკეთებული, მარტივია სამართავად, ექსპლოატაციაში საიმედოა, განარჩევა ეკონომიურობით. მისი სიხარეე საათში 100 კილომეტრია.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო ხუსნის მოგებათა ჯიჩაკე კიბინიოვი

კიბინიოვი (საკადესი). 7 და 8 ივნისს შესდგება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო ხუსნის მოგებათა ბილეთების ტირაჟი. გათამაშებულ იქნება 485.595.400 მანეთის 1.819.875 მოგება.

„ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ამხ. ჩხუბიანიშვილის მოხსენების გამო

(დასასრული)

კერძოდ ხორბლის, ახალი, უფრო მოსავლიანი, ორაფშული, ადადმყოფობათა და მავნებელთა გამძლე ჯიშების გამოსაყვანად, ისე, რომ უზრუნველყოს მათი გადაცემა წარმოებისათვის უახლოეს წლებში. დაჩქარდეს ჯიშების შერჩევა სიმინდის უხვმოსავლიანი თესლის მისაღებად.

II. თესლბრუნვების შემოღების, ბალახთესვის გაუმჯობესებისა და ირიგაციის დარგში

1. უზრუნველყოფილ იქნას 1950 წლის დამლევისათვის სწორი თესლბრუნვების შემოღება ბალახთესვის დაწერგვით, პარკოსან და მარცვლეულან მრავალწლიან ბალახთა ნარევის ფართო გამოყენებით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ყველა კოლმეურნეობაში.

თესლბრუნვების შემოღებისას მხედველობაში იქნას მიღებული სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით დაწესებულ დავალებათა უზრუნველყოფის აუცილებლობა და თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კონკრეტული საჭირონი და ბუნებრივი პირობები.

2. იმ მიზნით, რომ ათვისებულ იქნას თესლბრუნვები, რომლებიც უზრუნველყოფენ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გაზრდას და მეცხოველეობის საკვები ბაზის გადიდებას, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად ჩაითვალოს თვითეულ რაიონსა და კოლმეურნეობაში მრავალწლიანი ბალახების საკუთარი სათესლე ბაზის შექმნა იმ ვარაუდით, რომ უახლოეს 2-3 წლეში თვითეულ რაიონსა და თვითეულ კოლმეურნეობას შეეძლოს თავისი მოთხოვნილება მთლიანად უზრუნველყოს ბალახების საკუთარი თესლით.

3. კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების სათესლე რესურსების მაქსიმალური გადიდების მიზნით, 1947 წელს სათესლედ დატოვებულ იქნას იმ მრავალწლიან ბალახთა მთელი არსებული ნათესი ფართობი, რომლებიც გამოსადეგია ამ მიზნისათვის.

დაეკალოს მარნეულისა და გარდაბნის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ზომები ირონჯის თესლის მოსავლიანობის მაქსიმალური გადიდებისათვის.

4. უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობებში პარკოსანი და მარცვლეული მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის გადიდება და თესლის საერთო მოსავლის ვაზრდა, რისთვისაც ბალახების სათესლე ნაკვეთებში გამოყენებულ იქნას მაღალი აგროტექნიკა და დროულად ჩატარდეს თესლის მოსავლის აღება, გალეწვა და გამოფშვნა.

დაეკალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიმეშაოს ღონისძიებანი კოლმეურნეობებში სათესლედ ირონჯის ფართო მწკრივებად თესვის დანერგვისათვის.

5. მრავალწლიანი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების თესლის ადგილობრივი საწყისი მასალის მიღებისა და კოლმეურნეობათა სათესლე რესურსების გადიდების მიზნით ყოველწლიურად ჩატარდეს მრავალწლიანი ბალახების თესლის შეგროვება და დამზადება.

6. თესლბრუნვათა მინდვრებში გაზაფხულის ხორბლის ნათესებისათვის იმ ადგილების გამოსაყენებლად, სადაც წინა წელს მრავალწლიანი ბალახები ეთესა, დაეკალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს გაზაფხულის მაგარი ხორბლის უძველესი ჯიშების — შეფფის, თავფუხისა და ფიკას გამოკვლევა, ამასთან დაეკალოს სახელმწიფო სასელექციო სადგურს დააჩქაროს მუშაობა გაზაფხულის ხორბლის იმ ახალი ჯიშების გამოსაყვანად, რომლებიც ვარგისია დაბლის რაიონებსა და კოლმეურნეობებში, ქერძოდ, კახეთის რაიონებში იმ ადგილებზე დასათესად, სადაც წინა წელს მრავალწლიანი ბალახები ეთესა.

7. გამოკვლევისაგან ნათესების დაკვლა და ნიადაგების წყლის რეჟიმის გაუმჯობესების საქმის დიდი მნიშვნელობის გამო, საჭიროდ ჩაითვალოს მინდორსაცავი ტყიანი ზოლების გაშენება.

დაეკალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამი თვის ვადაში შეიმეშაოს ღონისძიებანი მინდორსაცავი ტყიანი ზოლების გასაშენებლად ალმოსავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, რომლებიც ძლიერი ქარების ზემოქმედებას განიცდიდან.

8. დაეკალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე წლის დამლეგამდე შეიმეშაოს დასაღეთ საქართველოს რაიონებში თესლბრუნვათა შემოღების საკითხი.

9. გაუმჯობესდეს სარწყავ და საშრობ სისტემათა ტექნიკური მდგომარეობა, განხორციელდეს ქსელისა და ბიეროტექნიკური ნაგებობათა რემონტისათვის აუცილებელი ღონისძიებანი. გაძლიერდეს კონტროლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მიწოდებული სარწყავი წყლის გამოყენებაზე, სწორად და სრულად გამოყენებულ იქნას ყველა სარწყავი მიწა, მოწესრიგდეს შიდასამეურნეო წყალსარგებლობა, გაუმჯობესდეს რწყვის ტექნიკა და ყველგან შემოღებულ იქნას საღღეღამისო რწყვა.

10. სარწყავ და საშრობ სისტემათა გაშენდნის სამეშაოების მაქსიმალური მექანიზაციის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას მიწის სათხრელი მექანიზმების არსებული პარკის დროული და ხარისხმრივი რემონტი და მიღწეულ იქნას მისი შეკუმა ახალი მექანიზმებით.

11. დამთავრდეს შშენებლობა და 1947 წელს მედიცი ექსპლოატაციისათვის გადაეცეს კუბეის, ფოცხ-ბრაკელისა და ხერა-ქარელის სარწყავი სისტემები და სალოფინის არხის პირველი რიგი, ალაბარის (აკურის ასსრ), წითელი-კინდღისა და ტამარნის (აფხაზეთის ასსრ) სარწყავი სისტემები, სართიჭალის მექანიკური რწყვის სისტემაი სადგური და ბოლნისის რაიონის ზედა არხის სათავის ნაგებობა.

12. უზრუნველყოფილ იქნას სალფინისა და აჯამეთის სარწყავი სისტემების შშენებლობის დამთავრება 1948 წელს და ალაზნის სისტემისა — 1950 წელს.

III. ჩაის კულტურის დარგში

1. აყვანილ იქნას 1949 წლის დამლეგისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი 55.800 ჰექტარამდე, რისთვისაც გაშენდეს ახალი პლანტაციები: 1947 წელს — 600 ჰექტარი, 1948 წელს — 1.700 ჰექტარი და 1949 წელს— 1.700 ჰექტარი.

2. ჩატარდეს 1947 წელს ჩაის პლანტაციების გასაშენებლად 1940 წელს გამოყოფილი მიწების ხელახლა შემოწმება.

3. დაეკალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს შეუდგეს 1949 წლის დამლეგისათვის დამთავრის საშრობ-სამელიორაციო სამუშაოები ჩაის პლანტაციების გასაშენებლად გამოყოფილ ფართობებზე ბაბანის, ბეგეჯაურის, ცხაკაიას, ხობისა და გალის რაიონებში.

4. 1948 წელს გადაჭარბებულ იქნას პირველი და მეორე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ოსმაფლელი ღონე, რისთვისაც 1947 წელს უზრუნველყოფილ იქნას 31.000 ტონა ამ ხარისხების ჩაის ძირითადი მწვანე ფოთლის დამზადება, ხოლო 1948 წელს — 40.000 ტონისა.

5. გატარდეს ჩაის პლანტაციების სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან და ავადმყოფობებთან ბრძოლის აუცილებელი ღონისძიებანი და 1947-1949 წლებში ლაკვიდირებულ იქნას მათი კერები.

6. მოსავლიანობის გადიდების მიზნით განხორციელდეს ჩაის პლანტაციების გულმოდგინე მოვლა, რაციონალურად გამოყენებულ იქნას მინერალური სასუქები, უზრუნველყოფილ იქნას ჩაის ფოთლის სწორი და დროული კრეფა და არ იქნას დაშვებული მისი კრეფა სუსტ და ნაკლებად განვითარებულ პლანტაციებში და ბუჩქებზე.

7. დაეკალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის გამეჩხრებული პლანტაციების რიმონტის გეგმის საკითხი, რისთვისაც წინასწარ გამოიკვლიონ პლანტაციები ყოველ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში.

ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციის სამეშაოები დაიწყოს 1947 წლის შემოდგომიდან და დამთავრდეს 1948 წლის დამლეგამდე.

IV. ციტრუსოვანი კულტურების დარგში

1. აყვანილ იქნას 1949 წლის დამლეგისათვის ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი 27.000 ჰექტარამდე. ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გადიდება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ფორთოხლისა და ლიმონის ნარგავებით.

2. ამ გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად 1947-1949 წლებში გამნდეს ციტრუსოვანი კულტურების ახალი პლანტაციები 7.950 ჰექტარის რაოდენობით, აქედან ლიმონი—4.500 ჰექტარი და ფორთოხალი — 3.450 ჰექტარი, მათ შორის წლების მიხედვით: 1947 წელს — 1.000 ჰექტარი, აქედან ლიმონი — 600 ჰექტარი, ფორთოხალი — 400 ჰექტარი, 1948 წელს — 2.300 ჰექტარი, აქედან ლიმონი—900 ჰექტარი, ფორთოხალი—1.400 ჰექტარი; 1949 წელს—4.650 ჰექტარი, აქედან ლიმონი—3.000 ჰექტარი, ფორთოხალი — 1.650 ჰექტარი.

3. საუკეთესო ჯიშების ლიმონისა და ფორთოხლის სადედე ხეების ფონდის გასაფიდიებლად 1947 წლის დამლეგამდე ჩატარდეს ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავთა აპრობაცია და დამატებით გამოიკოს ამ კულტურათა სადედე ხეები იმ ჯიშების მიხედვით, რომლებიც ვათვალისწინებულია სსრ კავშირის საჩამოსაბჭოს 1946 წლის 15 თებერვლის დადგენილებით.

4. მოეწყოს მცირემოსავლიანი ციტრუსოვანი ხეების ხელახლა დამყნობა და იე სამეშაო დამთავრეს 1949 წელს. ხელახლა დამყნობა ჩატარდეს ლიმონით და ფორთოხლით როგორც ყველა მცირემოსავლიანი ლიმონისა და ფორთოხლის ხეებისა, ისე იმ მცირემოსავლიანი მანდარინის ხეებისა, რომლებიც ლიმონისა და ფორთოხლისათვის გამოსადეგ ნაკვეთებზეა.

5. ლიმონისა და ფორთოხლის ვაზენების გეგმების სტანდარტული ნერგებით უზრუნველსაყოფად გაფართოვდეს სანერგე მეურნეობა. 1948 წელს გაშენდეს ტრიფოლიატის სანერგე მინდორი 40 ჰექტარზე და გადიერგოს სამარეები 200 ჰექტარზე.

სასოფლო-სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე ამოცანად დაისახოს გადაჭრით გაადვილოს ციტრუსოვანთა სანერგეების მოცალ და მალეწონ ლიმონის სტანდარტული ნერგების სულ მცირე 60 პროცენტ და ფორთოხლის—სულ მცირე 50 პროცენტ გამოსაყენებლობას.

6. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ციტრუსოვანთა ნარგავების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და 1946 წელს ნაყოფის ყველზე დიდი მოსავლის მიღებისა, ციტრუსოვანთა ნაყოფის საშუალო მოსავალი ერთ ხეზე ჯერ კიდევ მაინც დაბალია. პლენუმი სუბტროპიკული რაიონების სასოფლო-სამეურნეო, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ამოცანად უსახავს მკვეთრად გადადგონ ციტრუსოვანთა ხეების მოსავლიანობა, რისთვისაც საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესონ ნარგავების მოვლა, უზრუნველყონ პლანტაციებში ახოტოვანი, ფოსფორიანი და ორგანული სასუქების დროულად შეტანა და ნარგავების წმენდის ყველა ღონისძიების გატარება. ფართოდ გამოყენებულ იქნას ციტრუსოვანთა ხეების ნიადაგის დამეულნეგა.

7. ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გვალეიანი პერიოდის დასაწყისში, ვანსაკუთრებით ნაკლები სიძლაგრის ნიადაგებზე და წყლის არახელსაყრელი რეჟიმის ნიადაგებზე ჩატარდეს ნარგავების მორწყვა, რისთვისაც მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას წყლის ყველა არსებული წყარო — პატარა მდინარეები, ნაკადულები, ტბები, აუზები, ოგრეთვე გაიმართოს წყალსატევები, მოეწყოს წვიმის წყლის დაგროვება და პლანტაციებში სარწყავი წყლის კასრები მოზიდვა.

დაეკალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმეშაოს და განახორციელონ ღონისძიებანი წვრილი სარწყავი სისტემების შშენებლობისათვის, რათა ციტრუსოვანთა პლანტაციების რაც შეიძლება მეტი ნაწილი უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი წყლით.

8. მოეწყოს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან და ავადმყოფობებთან და 1949 წლის დამლეგისათვის უზრუნველყოფილ იქნას ბჟარის ასს რესპუბლიკაა და ფოთის რაიონში ციტრუსოვანთა ნარგავების იპპონერი ჩხრისებური ფარიანთა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ლეღეს ცვლილების ცრუფარიანთა დაავადების კერების ლიკვიდაცია.

ყველა რაიონში ჩატარდეს გამოკვლევა ლიმონის ნარგავებზე ავადმყოფობა „მალსეკოს“ გავრცელების გამოსარკვევად და გადართოვდეს კვლევითი მუშაობა ამ დაავადების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესამუშავებლად.

9. ჭარების მავნე გავლენისაგან ციტრუსოვანთა პლანტაციების დასაცავად 1947-1949 წლების განმავლობაში გაშენდეს 1.370 ჰექტარი კილომეტრი ქარსაფარი ზოლები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქარსაფარი კულტურების სარგავი მასალის გამოყენებას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრონომითითებათა შესაბამისად, რისთვისაც მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება წიწვიან ჯიშთა ნერგების გამოყენების საქმეში.

10. დაეკალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განახორციელონ ტორ-ფიკალისა და ტორფფოსფიტების ქარხნების მშენებლობის 1947 წელს დამთავრებისათვის აუცილებელი ღონისძიებანი, რათა სასუქები გამოშვებულ იქნას 1948 წლის პირველ კვარტალში.

11. დაეკალოს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე სუბტროპიკული ხილის კულტურების — ზეთის ხილის, ხურმის, ფეიხოიისა და ზღმარტლის ნარგავების მოვლის გაუმჯობესებას და ამ კულტურების ფართოდ განვითარებას.

აყვანილ იქნას 1950 წლის დამლეგისათვის ზეთის ხილის კულტურის ფართობი 210 ჰექტარამდე და სუბტროპიკული ხურმის ნარგავების ფართობი — 5.300 ჰექტარამდე.

V. ვენეროსა და ევკალიპტის დარგში

1. აყვანილი იქნას 1948 წლის დამლეგისათვის ტუნგოს ნარგავების ფართობი საქართველოს სს რესპუბლიკაში 16.700 ჰექტარამდე, რისთვისაც 1947 წელს გაშენდეს 1.540 ჰექტარი და 1948 წელს — 1.420 ჰექტარი ახალი პლანტაციები.

2. აყვანილ იქნას 1950 წლის დამლეგისათვის ევკალიპტის ნარგავების რაოდენობა 40 მილიონ ძირამდე, რისთვისაც 1947 წელს ფოთლის 5 მილიონი ძირი ევკალიპტი, 1948 წელს—8 მილიონი, 1949 წელს — 9 მილიონი და 1950 წელს — 9,3 მილიონი ძირი.

3. 1948 წლის დამლეგამდე ლიკვიდირებულ იქნას ტუნგოს ნარგავების სიმეჩხრე და დამთავრდეს მათი გაშენება ბეჩენარისაგან.

4. ხარისხობრივად და დროულად ჩატარდეს ნიადაგის დამეშვავება ტუნგოს და ევკალიპტის ნარგავებში, ამასთან დაცულ იქნას აგროტექნიკური წესები და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდა ნარგავების მოვლას.

5. მიღწეულ იქნას სანერგეებში ტუნგოს და ევკალიპტის ნერგების გამოსალიანობის გადიდება.

6. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ტუნგოს ნაყოფის გაშენდნის მექანიზაციის საკითხი.

VI. მევენახეობის დარგში

1. აყვანილი იქნას ვენახების ფართობი 1950 წლის დამლეგისათვის 70.000 ჰექტარამდე, რისთვისაც 1947 წელს გაშენდეს 1.000 ჰექტარი ახალი ვენახები, 1948 წელს — 2.100 ჰექტარი, 1949 წელს — 3.400 ჰექტარი და 1950 წელს — 3.945 ჰექტარი.

ვენახები გაშენდეს ძირითადად მაღალხარისხოვანი ჯიშის ვაზით, როგორიცაა: რქაწითელი, საფერავი, შუნგანი, კაბერნე, ხიხვი, ოლეკაური, ცოცა, ოცანური საფერე, ფორტელი შუნგე, ალეკსანდროული, ჩხავერი, ოჯალეში, უსახელური, ალიგოტე და სხვ.

2. ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის გატარდეს მათი რემონტი, რისთვისაც დაირგოს და გადაწვეულ იქნას 20 მილიონი ძირი ვაზი, აქედან: 1947 წელს — 4,2 მილიონი ძირი, 1948 წელს — 5 მილიონი ძირი, 1949 წელს — 5 მილიონი და 1950 წელს — 5,8 მილიონი ძირი.

